№ 156 29 ივლისი, ქუთაისი 1866—1879 29 ივლისი, ქუთაისი № 156

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ლირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ... ასოზე 1 კაპ., ... ცეროთი—5 კ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამზადებული სტატიები. დაბ. ... სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ლირს შაურად.

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება
სახალხო საეკლესიო წიგნი

კარაგადინი

შედგენილი
მღ. დავით ღამბაშიძისაგან.
ბეჭდილი პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყდით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თ ფ ი ლ ი ს შ ი — ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს შ ი — სიმონ ცერეაძის მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).

ა ხ ა ლ - ს ე ნ ა კ ს ი — ბლაღოჩინს სისორდიასთან.

ზ უ გ დ ი დ ს ი — ბლაღოჩინ მიხ. მეუნარგიასთან.

ლ ე ჩ ხ უ მ ს ი (ლაილასში) — ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

ს ა ჩ ხ ე რ ე ს ი — ყარამან ჩხეიძესთან — სასოფლო შკოლაში.

ბ ო რ ს ი — პავლე ბურჯანაძესთან (საასულიერო სასწავლებელში).

ყ ვ ი რ ი ლ ა ს ი — ბლაღოჩინ დავით ღამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ყვირილიდამ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.) Священнику Давиду Гамбашидзе. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—3)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადგომის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ხუთი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეტერბურღი, 25 ივლისს. პოლიტიკურმა დამნაშავემ მირსკიმ (იგივე პლეტნიევი), აღიარა, რომ ის იყო სასიკვდილოდ ხელის გამომღები გენერალ დრენტელზე.

ცეცხლის გემი „ვეგა“ განთავისუფლდა ოკეანეს ყინულისაგან და გაიარა ჰერინგის სრუტე. კრეისორი „ნიჟნი ნოვგოროდი“ გუშინ ვლადივოსტოკში მოვიდა და დღეს 25 კათათვეს სახალინის კუნძულზე მიდის. ყველანი მშვიდობით მოვიდნენ. გზაზე არავინ მომკვდარა.

სტამბოლი, 25 ივლისს. (6 მარიამობისთვეს) ბოლგარიის მთავრის მისაცემი ფარმანი ხვანთქრისაგან ხელმოწერილია; ფარმანს სოფიაში მიიტანს დირექტორი ბეჭდვის მმართველობისა, ადრე ხონთქრის კომისრათ ნამყოფი ბოლგარიაში პერტევ-მეფენდი. საზოგადო მუშაობის მინისტრის სავას-ფაშას უცხო საქმეთა მინისტრის სტატს-სეკრეტრად დანიშვნის შემდეგ, ლაპარაკია იმაზე, რომ სულ ახლად საზოგადო მუშაობის სამინისტრო საეკლესიო მინისტრს შეუერთდებაო ხარჯის შესამცირებლათა და იმიტომ რომ ეხლანდელ გარემოებაში საზოგადო მუშაობის სამინისტროს ბევრი საქმეები არ ექნებაო.

პეტერბურღი, 26 ივლისს. პრიმზინის გოროდიშჩეში, ალატირის უეზდში, სიმბირსკის გუბერნიაში 24 ივლისს დიდის ქარის დროს ცეცხლმა 500 სახლის დასწვა. საშინელი შეჭუხება ადგიათ მცხოვრებლებსა.

საქართველო

თეკლე ბატონიშვილის წერილი მაიასთან. (*)

(მასალა საქართველოს ისტორიისთვის).

ჩვენ გადმოგვეცა ერთმა, ძველი ქართული წიგნების მქონე პირმა ქვემო მოყვანილი სამძიმრის წერილი, რომელიც მეფე ირაკლის სიკვდილის გამო 1798 წელს ბატონიშვილს თეკლეს მიუწერია მაიასათვის. თუ თავის სიძველითა და თუ თავის შინაპარსით ჩვენ მოგვეწონა ეს წერილი და ამისათვის ვბეჭდავთ აქ სრულიად შეუცვლელად; მართლწერა დაცულია.

წერილი გაუკეცელად ნახევარ თაბახ თხელ მოთეთრო ქალღზედ სწერია, რომელსაც გარეშემო, სამ გვერდზედ (გარდა მარცხენა გვერდისა) შავი არშია უვლია. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ეს ნაწერი თითონ თეკლეს საკუთარი ხელი არის, და არა ხელისგან გადმოწერილი. როგორც საზოგადოთ ყველა ჩვენი ძველი ნაწერები, ესეც მშვენიერის ხელით არის დაწერილი.

რედ.

ბრწყინვალეო კნეინავ დაო და სარწმუნო მეგობარო ჩემო

და ხელმწიფეცა ჩემო

ცვალებამან მრავალ საგლოველისა ამის სოფლისამან განკვეთა გული ჩემი საშვებელის ხედვისაგან, დამაკლო სატრფიალისა სიცოცხლესა, აღავსო საცრემლე თვალთა ჩემთა, დასცეა სიცოცხლე ჩემი პირსა სიკვდილისასა, ენატრი დამიწებულთა ძმათა და დათა ჩემთა, მაქვს სირცხვილად საიგაო სულის დგმა ჩემი რომლითა გეკრძალვი რათა ამიერითგან არღა მიცოდე ცოცხლად სატრფოვო დაო ჩემო;

წიგნი ბრწყინვალებისა თქვენისა, შეესაფერი ყოველისა სოფლისაგან სატკივრად საგლოველისა ამის დღისა, სახელ დიდებულისა ხელმწიფისა და სახსოვარისა მამისაგან გულ დაწყლულებულმან ქალმან, გულად ვიღერა მიმეღო ცნობაში განმიახლდა სახმილი, რა ესთქვა სიცოცხლე მიღებულმან; ზეცას ანგელოზთაგან სამწიგნობროდ დიდებულსა მას, და ქვეყანასაზედა კეისართაგან საგლოველად პატივ საცემელს; ხელმწიფის მამის დატირებასათვით მპყრობელთა ხელმწიფეთ დავანებე; მაიავ მე შემიბრალე სიკვდილის უმწარესის სიცოცხლისათვის, მე მიწუხე მტირად დავითიანთ სახლის დიდების მამისათვის, ბედნიერობის ტახტზედ ამაღლებულის ხელმწიფე დედის

*) ამ წერილის თავზედ კარანდაშით შემდეგი სიტყვები დაუწერია ვ ღ.ს.ც:

„ბატონის შვილის თეკლესაგან მ წერილი წიგნი, ბარსევან ჭავჭავ ძის მეუღლის მაიასთ ნ, რომლისაგანაც მიღებდა სამძიმრის წიგნი და რომელსაცა სწერს პასუხს!!

რედ.

სატკივარად დაქვრიებისათვის, გულ დაწყლულებულთ მტარალთ მისთა შვილთა ობლად დატევებისათვის, მეფის ირაკლის დაცლილის სამეფოს ტახტისათვის; იწუხე საქართველო სახელოვანის ხელმწიფისა და საზოგადოს მამისაგან დაობლებისათვის, მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულის დროშისათვის; იწუხე დაო, სახლი მემკვიდრისა შენისა, პატიეცემული მშობელთა და სასძლოსა შენისა; რომელშიაც მეფის ირაკლის ბედნიერი ტახტზედ ჯდომა იხილეებოდა, და მრავალ საგალობელის საუკუ- ოს მამის მედღესასწაულე მეფის ირაკლის ხმა აღარ ისმის; მე შემიბრალე მეფის ირაკლის სანატრელის სულის ხორცთაგან გაყრის დასწრებისათვის; ხელმწიფის მამის საკვდავად დაზარებულის კენესისაგან გამწარებულს ცეცხლისათვის; ქვეყნის მპყრობელისა და უძლეველის ხელის კაცთ მოყვარეს გულზედ დაკრეფისათვის; კეისართაგან ხელმწიფედ დაგვირგვინების უმაღლესის თავის მიწად მიღებისათვის;

მითარ ყოველთაგან უმეტეს ბედნიერებით აღვსილ ვიყავ ვითარ ყოველთაგან უმეტეს სიხარულით აღვსილის სიცოცხლის მქონებელ, ვიყავი და ვითარ უმეტეს ყოველთაგან გაამაყებულის გულის მქონებელ ვიყავ, ეგრეთცა უმეტეს ყოველთაგან უბედო ვიქმენ ყოველთაგან უმეტეს მწუხარებით აღვსილის სიცოცხლის მქონებელ ვიქმენ და ყოველთაგან უმეტეს გულ დამდაბლებულ ვიქმენ მმწეენისა ამის დღისათვის; მე გტკიოდე; მე გეწყალოდე; მე მიწუხე; მე შემიბრალე; სიცოცხლე მწარე; სიკვდილად მოხალისე; დაო ჩემთვის იწადედა სთხოე რათა დაუთმე ნელისა ამის ცეცხლისაგან გამომიხსნას მაღალმან;

მარადის თვალთა ცრემლ მომდინარე ძრაელის მწუხარებით გულ სისხლ მჩქეფარე მეფის ასული.

თეკლა

წელთა ჩღკ.
მაისის. იე
თელავით.

ДЛИУРИ

*** Дидის მოლოდინისა და ფიქრის შემდეგ, რომ ეს არის მოისპო სამუდამოთ ჩვენი ჟურნალის „Ивериоъ“ გამოცემაო, ველირსეთ მეხუთე და მეექსე— მაისისა დმ Ивнисъ— ნომრების გამოსვლას ერთ წიგნათ. მოგვყავს აქ ორივე ნომრის შინაარსი:

I. „Эхвити автомыгоѳи“ კომედია მოლიერისა,

II. „Ѳарнкас ведери“ სომხურით ნათარგმნი პ. უ.

III. Ѳри ლექსი Акакиса.

IV. „Ѳуе да имисі мніѳвнелоба. ѳ—са.

V. Ѳсмалетисі თათრები და ალმოსავლეთის საქმე, ѳ. Иоселіанисა.

VI. Ѳсалмуни, (ლექსი) თ. ѳრ. Ѳრბელინასა.

VII. რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ (პოემა) Ил. Чавчавадзисა.

VIII. „Ѳаварсіа Шина темидисаа„, რუსულიდამ ნათარგმნი.

IX. „Рас ѣнкас гулмо“! (ლექსი) Мачабелисა.

X. სხვა და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის.

XI. Шинаури мимоѯхилеа.

XII. სხვა და სხვა ამბავი და ცნობა.

XIII. Даматеба: Иѳа, romaniі ѳуевисა და

XIV. ѳанцхадеба.

*** რუსულ გაზეთში, „Ахл.-Дроеба“ში“, იწერებიან საზოგადო სამდურავს, რომ არავინ ისე ტანჯვით და ვაი-ვაგლახით არ იღებს ჯამაგირს, როგორც სახალხო შკოლების მასწავლებლებიო. ხშირად იმათ თავის დროზედ არ აძლეენო, და ამასთან მცირე ჯამაგირისთვის თავის ხარჯით უნდა იარონ მაზრის ქალაქებში, ხანდიხ-ხან ერთის მისვლითაც ვერ მიიღებენ ხოლმე, რამოდენმეჯერმე მოუხდებათ წასვლა, როცა ის პირნი, რომელთაგანაც უნდა მიიღონ, ადგილზედ არ დაუხვდებათო და ამ ნაირთ მასწავლებელი ჰკარგავს დროს ერთის მხრით და თავის მცირე საშუალებას, მეორე ძრრითაო და სხვა.

სახალხო განათლების სამინისტროს მიუღია მხედველობაში ყველა ამგვარი დაბრკოლებაები და ვისთანაც ჯერ არის უთხოვნია, რომ როგორც ქალაქების, აგრეთვე სოფლის მასწავლებლებს ეძლეოდეს ჯამაგირები ყოველ თვეობით, არა გვიან თითოეული თვის დამდეგისა, ანუ როგორც უფრო მოხერხებულათ აღმოჩნდეს და ფულები ამ გვარი შკოლების შესანახავი სოფლის საზოგადოებებისგან მუდამ თავ-თავის დროზედ, ადრე შევიდეს ჯერ-ოვან ადგილებშიო და სხვ.

ვინც იცის ჩვენი სასოფლო შკოლების მდგომარეობა, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის შკოლებისა, ვისაც გაგებული აქვს, თუ ზოგიერთი ჩვენი მასწავლებლები რა ტანჯვით იღებს თავის ორ გროშსა, ის დაგვეთანხმება, თუ რა კეთილი განკარგულება იქნება ამგვარი განკარგულება ჩვენი შკოლებისათვისაც!..

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მარტყოფში, წმ.—მამა ანტონის ეკკლესიაში არის დაჩენილი სურათი ჩვენი გამოჩენილი და განსწავლული არხიეპისკოპოსი ბაიოს ნაცვალიშვილისა, რომელმაც 36 თხზულება დასტოვა.

კარგი იქნება, რომ მის სურათს ყურიდღება მიაქციონ და გადააღებინონ.

*** „მშაკში“ სწერენ ქობიდამ, რომ იქ ამ უკანასკნელს ხანებში ერთი საშინელი ზვავი ჩაწოლილა, რომლის გამო მგზავრობა შეწყვეტილია. არაგვიც მთლათ დაგუბდაო.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელს დღეებში წმ. მამა—მიოს მღვამის უდაბნოში, „მიოს ძეალი“ დაკარგულა, რომელიც ერთ რუსის დიაკვანს მოუპარავს და აქ ჩამოუტანია. ეს საქმე შეუტყეს, ძეალი ჩამოურთმევიათ და დიაკვანი სამართალში გადუცია ეგზარხოსსა.

*** ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

„ბიგზავნით შემწირველთ პირთ სიას, სასარგებლოდ ქართულის გალობისა და გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენ მიერ გამოცემულს გაზეთში:

	მან.	კაპ.
1, Иоанე ნათლისმცემლის უდაბნოდგან— — — — —	15	„
Архимандритის Макариисагან—	9	„
Ректорის Архимандр. სამისგან	15	„
Архимандритის Кесариоисисგან	5	50
5, ძმათაგან Иоанე ნათლისმცემლის უდაბნოსი — — —	6	„
Сионის სობოროდგან — —	24	„
წმ. Давитის ეკკლესიიდგან—	9	„
მღ. Петре Чонჩუევისაგან —	3	„
სამების ეკკლესიიდგან — —	9	„
10, Кукиის ეკკლესიიდგან	9	„
Сколоколаკის ეკკლესიიდგან—	6	„
ძაშვეთის ეკკლესიიდგან— —	15	„
Маринეს ეკკლესიიდგან — —	9	„
Анჩისხატის სობოროდგან —	7	50
მღ. Бесарიონ ზედგინიძისაგან	3	„
მღ. Григори Петриევისაგან	4	50
მღვდლის სამადოვისაგან —	6	„

(ეს ფული შემოვიდა პირველის აპრილიდგან პირველს ივლისამდე).

ერთ დროებით შემოსწირეს:

Иеромონახმა Филаретმა—	10	„
მღ. მათე სუხიევმა — — —	10	„
Ღენერალ-მაიორმა სვიტის მისის Იმპერატორებითის Დიდებულებისა თ. Иоанე ზივის ძემ		
Ამილახვარმა — — — — —	25	„

ბლაღოჩინის დეკანოზის ხატიევის მიერ შეგროებული ფული სამღვდელოთაგან:

Ქრებულისაგან ვაჭირის ეკკლესიისა — — — — —	8	„
ჯუკაანის ეკკლესიიდგან —	3	„
საქობოს მღ. Давит Иაევისაგან	1	„
საქობოს მღ. Георгორ Иაევისაგან— — — — — — —	1	„
Ქრებულისაგან მაშნაარის ეკკლესიისა — — — — —	1	„
მღ. ზაქარია სინჯიევისაგან—	1	„
თ. Григори Николოზის ძე Багратიონ მუხრანსკიმ — —	10	„
Александრე ბალუევმა — —	5	„
Иванე ბუნიათევმა — — —	1	„
Давит Георгის ძე Абелოვმა	1	„
Георгი მერკუროვმა — —	3	„
Иванე ბრიქუროვმა — — —	1	„
Самсონ ლოღაბერიძემ — —	1	„
Николოზ ერლემლიძემ —	„	40
Деკანოზმა Дიმიტრი ზარიძემ	5	„
ფერის - ცვალების მონასტრის ძმათა — — — — — —	7	50
სულ	249	40

ეს ფული მიეცა ჯამაგირად მგალობლებს და ნოტებზედ გადამღებს, რომელიც არის ჩაწერილი ექაარხოსისგან მოცემულს ზონარ ვაყრილს დავთარში.

წევრნი კომიტეტისა: Архимандрита Макарий.

Мелодели Григолъ Мелгриевъ.

Мелодели Александръ Молоденовъ.

*** როგორც შეიტყვეთ ჩვენ უფ. ჩუბინოვისაგან ლექსიკონის ბეჭდვა პეტერბურღში სულ ტყუილი გამოდგა. ამ ჟამად არა თუ სლოვარი არ იბეჭდება, ჯერ აკადემიასაც არ განუხილავსო და როცა განიხილავენ, თუ საჭიროთ დაინახეს გამოსცემენ, თუ არა და არაო.

აქ კი ხალხი თავს იმტვრევს იმის კითხვით და ძებნით!

*** ამ ჟამად თფილისში მუშა ხალხი ერთობ ძვირათ ფასობს, კალატოზი ღღეში რვა აბაზიდამ სამ მანეთს თხოულობს; ღურგალი ორ მან.; უბრალო მუშა ცხრა აბაზს. მაგრამ თუ ვაჭრების მოქმედებას შეავადარებთ და ბაზარ ყველაფრის გაძვირებას, ეს უკანასკნელნი უფრო მეტს გვაძროობენ!..

„დროების“ კორრესპონდენცია

ფოთი, 26 ივლისს. თფილისის ქართული ტიატრის ტრუპპამ ჩვენს ფოთელებსაც გვაღირსა თავისი წარმოდგენა. სულ სამჯერ წარმოადგინეს, ორჯელ თავიანთ სასარგებლოთ და მესამეთ—ფოთის სავაჟო სასწავლებლისათვის. ორს წარმოდგენაზედ შემოვიდა ბილეთის ფული 400 მანეთამდის და შკოლის სასარგებლოთაც 200 მანეთამდის.

ფოთის საზოგადოება იმდენათ კმაყოფილი დარჩა, რომ ხუთჯერ კიდევ რომ წარმოედგინათ მაინც არ მოსწყინდებოდა, და სასიხარულოთ და სასიამოვნოთ დარჩებოდათ. მინც კი დაესწრნენ წარმოდგენებში, ყველას საწყენათ დაურჩათ ტრუპპის ესე მსწრაფლათ გამოსალმება, და ვინც არ დაესწრებიან წარმოდგენებზედ რომელიმეს მიზეზით, ისინი ხომ სულ გულ-დაწყვეტილები არიან, მით უმეტესათ, რომ საითაც გაიარ-გამოიარო ფოთში, ყველგან გაიგონებთ, როგორ ერთი მეორეს შესჩივის, კარგი ტიატრი ყოფილაო და მე ამა და ამ საქმის მიზეზით ავცდი იმისთანა ძვირ-ფას წარმოდგენასაო, აქ ბევრჯელ ყოფილან წარმომდგენნი, ქართულისა და თუ რუსულისა, მაგრამ ხალხისათვის ისე საგრძნობელი არ ყოფილა, როგორათაც ამ ქართულის ტრუპპისა, რომელმანც მეტ გრძნობაშა მოიყვანა ყველა თავისი მშვენიერი წარმოდგენითა.

ჩვენი ტრუპპა ჯერაც ფოთშია მაგრამ მალე აპირებს წასვლას აქედგან.

საზოგადოთ ყველა ქვეყნებიდან უჩიოიან უწვიმობას და სიცხეებს. ჩვენს ფოთში კი სიცხის მაგიერ ლამის დაგვალპოს წვიმებმა: მთელი ერთი კვირაა, ისე წვიმს, კაცს ეგონება ზეციდან კოკის პირიდამ გადმოდისო! ბაივსო ქუჩები წყლით, გადალეკა ბაღები, ბალჩები და ბოსტნეულები. რიონი ხომ ისე გადიდდა, რომ კალაპოტს ზევით ასცილდა: სანავოსთან და სხვაგან დამბა ისე გაფუჭებულია, რომ თუ ცოტაც მაიმატა რიონმა, გადმოხეთქამს და გაგვიხდება ნაევებით სასიარულო. ჩვენი დამბა ისე უდროოთ დასნეულდა, რომ ურიგო არ იქნება ეხლავე მკურნალება მიენიჭოს, თორემ როცა ძრიელ გაფუჭდება, მაშინ უფრო ბევრი წამლის ფული დასჭირდება და გვიანაც იქნება; იმედია ქალაქისათვის ამ აუცილებრივ საჭირო დამბას ყურადღებას მიაქცევენ, ვისიც რიგია, თორემ თქვენი მტერი ჩვენ საქმე მოგვეცა: ერთხელ ღღე თუ ღამე გადმოგვლეკამს, და იქნება ხალხიც ისხვერპლოს ჩვენმა მუქარა რიონმა.

საშინელი ცუდი ამინდებია; კაცს დეკემბერი, ან მარტი ეგონება: ღღეში ათ ნაირათ იცვლება ჰაერი; ზღვა ხომ ისე გადარეულია, რომ ორშაბათს, ამ თვის 23-ს მოსასვლელი ადესის პარაბოდი ღღესაც არ მოსულა.

ფოთელი

უცხო ქვეყნებს

ვენა.

გაზეთ „ახალ დროებაში“ იწერებიან 18 ივლისიდამ, როგორც გადმოცემულ ამბებს, რომ ავსტრიის ჯარები შესულნ ნოვო-ბაზარში.

მეორე გაზეთის კორრესპონდენტი 22 ივლისიდამ დარწმუნებით ამბობს, რომ ომის განაპირ ადგილებიდამ ავსტრიის საპიორის სალდათებსა და მუშებს თავს ეხმიან შეიარაღებულნი მტრები. დაჭრილები და დატყვევებულები სარაევოში წარუდგენიათ. კორრესპონდენტს, სხვათა შორის, მოჰყავს ერთი ბოსნიაში თანამდებობის კაცის კერძო წერილიდამ ალაგი, რომელიც ამბობს: „ჩვენი მდგომარეობა მეტად საეჭვოა; ქალაქიდამ ქალაქამდი მისვლა საძნელოა; ასე გაშინჯეთ ჩვენ საკუთარ სახლებშიაც კი ყოველი ღონისძიებას ეხმარობთ შეიარაღებული შაიკის თავდასხმის წინააღმდეგ; ყველა შეშინებულია და დარწმუნებული, რომ მალე საქმე აჯანყებამდის მიახწევსო“.

ოსმალეთი.

—ალექსანდრიიდამ იწერებიან, 25 ივნისიდამ, რომ კაბინეტი, რომელიც შერიფ-ფაშის თამჯდომარეობით არის, ამ მოკლე ხანში თვითონ ახალ სამინისტროდ შეიცვლება, რომლის პრეზიდენტი თითონ ხედივი იქნება. რაად-ფაშა ფინანსის მინისტრად გახდება და თეკემ-ფაშა—უცხო საქმეთა მინისტრად.

ამერიკა.

მკითხველებმა იციან, რომ ამას წინათ პარიჟში გადაწყვიტეს ჩრდილოეთისა და სამხრეთ ამერიკას შუა მდებარე ვიწრო მიწის გათხრა, რომ ევროპიულ გემებს შეეძლოთ ატლანტიური ოკეანიდამ პირ-და-პირის გზით შესვლა დიდ ოკეანში.

ამ საქმის ასრულება მინდობილი აქვს შესანიშნავ ფრანცუზის ინჟენერს ლესეპსს, რომელმანც სუეცის პანალი გათხარა.

ამერიკელებში ამ გარდაწყვეტილებამ უკმაყოფილება ატეხა. ინგლეს არაფრად მოსწონს ევროპიელების იმათ საქმეში გარევა. საქმის საშველებლად ერთი ამერიკელ ინჟენერს განუზრახავს ამ ორ—ოკეანის რკინის გზით შეერთება, მაგრამ ისეთ ნაირი რკინის გზით, რომელიც ხომალდებსა და პარაბოდებს გადიტანს. ასრულდება თუ არ ასრულდება მისი პლანი თითონ ეს აზრი იმდენათ საკვირველია, რომ მთელ ქვეყანაში ყურადღება მიაქციეს.

საფრანგეთი

შემდეგ ბევრის უთანხმოებისა და მოლაპარაკებისა ბონაპარტიელებმა გამოაცხადეს გაზეთს **Ordre**-ში, რომ ლიუდოვიკ ნაპოლეონის გსდაცელის შემდეგ კანონიერ ტახტის მემკვიდრედ რჩება ჟერომ ნაპოლეონი. ეს უკანასკნელი ნაპოლეონ III-ს თან წაკიდებული იყო და არც იმისი სიკვდილის შემდეგ შერიგებია მის სახლობას. ეს კიდევ არაფერი. ის უკანასკნელი 10—15 წელიწადი უფრო რესპუბლიკელების მოხრე იყო ვინემ იმპერიალისტების. ეხლა, როდესაც ამისთანა დიდი მემკვიდრეობა შეხვდა, სიხარულით უნდა მიიღოს ის და თავის წარსული დაივიწყოს, მაგრამ მის საუბედურო, თუ გამოაცხადა რომ მემკვიდრეობას ღებულობს და ტახტის პრეზიდენტათ ხდება იმ შემთხვევაში, საფრანგეთის კანონით, უნდა დაუტოვოს სეფრანგეთი, როგორც მეორე პრეზიდენტმა შამბორმა და სხვა ქვეყნებში იცხოვროს. ეს კი ეძნელება იმათ. ასე უთქვამს: „საფრანგეთში მევაქსეთ ყოფნა მირჩევნია საფრანგეთის გარე პრეზიდენტობასო“.

ისპანია.

14 ივლისს (26) საღამოს, ერთ მოხუც ქალმა ალფონსის კარეტას ჰკრა ქვა, იმ დროს, როცა კოროლი ეკლესიაში მიდიოდა. აჰბობენ ეს ბებერი ჭკუაზე ნაკლებათ არისო.

ნარევი

ერთი რუსული გაზეთი შემდეგ ახირებულ ამბავს მოგვითხრობს:

ერთ ტრახტირში შესულა ჩაის დასალევათ ხუთი კაცი, რომლებთა შორის ორი დედაკაცი ჰყოფილა, ორი ვაჟკაცები და მეხუთე 16 წლის ყმაწვილი. ესენი ტრახტირში ისე შესულან და ისე გაუგრძელებიათ იქ ჩაის სმა, რომ არც ერთ კაცს ქუდი არ მოუხდია. მეტრახტირის შენიშვნაზედ, რომ აქ ოთახში ხატები ჰკიდია, იმათ უარ ჰყვეს ლვთაება, რის გამოც წაიყვანეს პოლიციაში და აქედამ—გამომძიებელთან.

— ვინა ხარ თქვენა? ჰკითხავს გამომძიებელი.

— ვინ გინდა შენა? მიუგებენ ისინი.

— პასპორტი გაქვსთ?

— რა პასპორტი?

— საიდამა ხართ?

— რაეიცით ჩვენა?!

— ერთ სოფელში მაინც სადმე არა ხართ დაბადებულნი?

— თუნდა ძველი სოფლები მოვიდნენ და სთქვან, რომ ჩვენ გვიცნობენ,— მაინც არავინა გვწამს.

— მასე არ შეიძლება ცხოვრება! კანონი თხოულობს, რომ თქვენ უნდა გქონდეთ რწმუნება თქვენი ვინაობისა და სამშობლო სოფლისაო! ეუბნება გამომძიებელი: „წინაალმდეგ შემთხვევაში თქვენ გიცნობენ მაწანწალებათ და პასუხის გებაში ჩავარდებით!

— რა ცუდი რამე გიყავით, რომ ასე ამბობთ; უმჯობესია გაგვეგზავნე იქ, სადაც არც შენი კანონებია და არც შენა ხარ მფლობელი! და სხვ. მიუგეს ამათ.

ამ გვარათ ვერ გაიგეს, თუ ვინ და საიდამ იყვნენ ისინი. ბოლოს მოიყვანეს დედაკაცების გასასინჯათ ბებია (აკუშერკა) და მამაკაცებს უბრძანეს გაეხადნათ ტანთსაცმლები.

— თუ გინდა თვითონ შენ გაგეხადეო! მიუგეს იმათ! ჩაცმის დროსაც აგრეთვე:

— შენ გაგეხადე და შენვე ჩაგვაცვე; ჩვენთვის კი სულ ერთია—თუნდა ტიტველებიც ვიყვნეთო, უთხრეს! რის გამოც იძულებულნი იყვნენ გაეხადნათ და ჩაეცვათ იმათთვის!

ეს საკვირველი ხალხი ჯერ-ჯეროობით ციხეში არიანო და საქმის გარჩევისთვის სარატოვში უნდათ წაიყვანონო.

***

ერთ სოფელს აღდგომა ჰქვია (თელავის უეზდშია), ერთმა კაცმა სთხოვა მეორეს ცხენი, აღდგომამდი ცხენი მათხოვეო. მიირთვიო, უთხრა მეორემ: აღდგომამდი ცხენს როგორ დაგიჭერო!

ეს იყო იანვარში. წაიყვანა ამ კაცმა ცხენი და დიდ მარხვის შეხუთე კვირაში დაუბრუნა პატრონს მადლობის თქმით.

— რა მიყავ, კაცო, ესა! ბანა გაჩუქე ცხენი, რომ ამდენი ხანი ხედნიო! უაყვედურა გაჯავრებით ცხენის პატრონმა.

— რათა, ძმაო! შენ აღდგომამდი მათხოვე ცხენი და ჯერ სად არი აღდგომა, კიდევ რამოდენიმე დღეაო! მე მეგონა, ადრე მიუყვან, კელავაც მათხოვებს მეთქი და შენ მიჯავრდებიო!

***

ბლეხმა ყელიანი წაღები იყიდა და გზაში ზედ შუა გზაზედ დაეძინა. გამოიარა ურმიანმა კაცმა, ჯერ მძინარეს წაღები გახადა, თავისთვის გადამალა და მერე ღვიძება დაუწყო: ადე, კაცო, ურემი გავატაროთ, ფეხებზედ არ გადაგიროსო. გაიღვიძა ბლეხმა, დაიხედა ფეხებზედ და მიუგო: „გაატარე ურემი, ეს ჩემი ფეხები არ არის; მე წაღები მაცვიაო“ და ისევ დაიძინა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ᲤᲘᲭᲕᲘᲡᲐ და ᲜᲐᲫᲕᲘᲡ ᲮᲔᲔᲑᲘᲡᲐ კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვეს. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოლონდ წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ᲭᲘᲣᲠᲡ, შეუძლიან მიმართოს ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲤᲣᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡ სახლებში № 31; იკითხოს უფ. ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲩᲔᲩᲣᲢᲘ.

(3—2)

ᲛᲝᲬᲕᲘᲢᲐᲜᲔ ᲙᲐᲠᲘᲭᲘᲓᲐᲛ ᲣᲮᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲭᲛᲝᲜᲚᲘᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲓᲐᲪ ᲕᲘᲚᲔᲑ ᲖᲐᲙᲐᲖᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲜᲐᲮᲝᲜ ᲔᲡ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ Უ. ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲒᲐᲡᲚᲐᲨᲘ № 181, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲬᲙᲚᲔ ᲮᲜᲘᲗ. ᲙᲐᲠᲘᲭᲘᲡ ᲤᲘᲠᲛᲐ: Gilles et Iohan Chandons.

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„ᲑᲣᲢᲘᲐᲚᲒᲐ“

ᲕᲝᲓᲔᲕᲘᲚᲘ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲩᲐᲠᲙᲕᲔᲘᲐᲜᲘᲡ, ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ Დ ᲒᲠᲘᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ. ᲐᲒᲠᲔ ᲗᲕᲔ ᲣᲤ. ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ, ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔ.

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲙᲐᲠᲘ

„ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡᲐ“

ᲥᲣᲩᲘᲘᲡ ᲮᲘᲓᲖᲔ, ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲠᲖᲕᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲥᲕᲔ I, II, III IV, V, VI ᲓᲐ VII ᲙᲐᲠᲘ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ, ᲤᲐᲡᲘ 40 ᲙᲐ�პ.

ᲠᲙ. ᲕᲖᲐ.	ᲓᲘᲚᲐ		Ს	ᲦᲐᲛ.		II Კ.		III Კ.	
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	21	5	1	8	ᲙᲐᲞ.	8.	ᲙᲐᲞ.	
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . . .	10		6	27	-	85	-	44	
ᲖᲝᲠᲘ. . . .	1	8	9	43	3	„	1	53	
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	1	9		57	4	73	2	42	
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	1	44			4	90	2	61	
ᲣᲕᲠᲘᲚᲐ . .	1	49			7	21	3	69	
ᲠᲝᲜᲘ. . . .	6	57			8	44	4	31	
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .		5			9	66	4	93	
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ	8	43			10	71	5	47	
ᲤᲝᲗᲘ. . . .	9	50			12	24	6	26	
ᲤᲝᲗᲘ	9	3							
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	10	14			1	53	-	78	
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	11	5			2	61	1	33	
ᲠᲘᲝᲜᲘ . . .	12	13			3	84	1	97	
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	1	18		ᲦᲐᲛᲔ.	5	3	2	56	
ᲡᲣᲠᲐᲛᲘ . . .	5	12	1	10	7	34	3	74	
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ . . .	5	39	1	37	7	51	3	84	
ᲖᲝᲠᲘ	7	5	4	8	9	24	4	73	
ᲛᲪᲮᲔᲗᲐ . .	8	50	6	59	11	39	5	82	
ᲗᲤᲚᲘᲡᲘ. .	9	31	7	6	12	24	6	26	

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ.
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ	—	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ,	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲛᲐᲠᲨᲐᲕᲡ	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ .	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ .	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲩᲢᲐ

ᲐᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲨᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨ. ᲝᲚᲮᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲙᲐᲮᲔᲗᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ. Ბ) ᲨᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲝᲚᲮᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:	ᲙᲐᲞ
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ	3
ᲓᲐᲑ. ᲯᲓᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .	7

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲨᲕ. ᲗᲝᲗ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ.	2	20
ᲨᲕ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . .	1	60
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ . . .	1	35
ᲛᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	8	20
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲘᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ.	9	30
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	10	70
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	6	50
ᲛᲐᲢᲚᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ.	5	60
—ᲗᲘ.ᲠᲐᲥᲐᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ .	2	10
ᲐᲑᲠᲐᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲡᲢ.	5	80
ᲭᲝᲜᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	7	60
ᲭᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	12	30
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ Ფ.	—	72
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ .ᲚᲘᲢᲠᲐ	—	81
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ . .	4	50
ᲡᲠᲘᲢᲘᲡ ᲕᲔᲓᲠᲝ . . .	7	10
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗ .	5	60
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	—	65
ᲣᲐᲕᲐ ᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲒᲠᲒ. .	13	50
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ.	6	70

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

ᲔᲠᲔᲕᲜ. Მ. ᲓᲘᲓ., ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕ. ᲡᲐᲮᲚᲘ.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ 10-ᲓᲘᲜ.

	ᲛᲐᲜ	ᲙᲐᲞ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲐᲚᲔᲕᲘᲩᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ.	1	35
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲝᲕᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ.	8	20
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲝᲕᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤ.; ᲠᲔᲘᲜᲘ—ᲗᲕᲐᲚᲘᲡ, ᲨᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ—ᲙᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡ, ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲥᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ.	9	30
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ, ᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ—ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡ.	10	70
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗᲛᲧ. ᲓᲐ ᲨᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ—ᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡ.	6	50
ᲞᲐᲠᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲘᲗᲔᲑᲘᲐᲜ: ᲚᲘᲡᲘᲪᲔᲕᲘ, ᲑᲐᲑᲝᲕᲘ, ᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲮᲣᲢᲝᲕᲘ.	5	60
ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ: ᲕᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲔᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲨᲣᲠᲐᲕᲚᲔᲕᲘ.	2	10
ᲠᲣᲑᲘᲜᲨᲢᲘ—ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲨᲘᲜ, ᲚᲐᲠᲘᲑᲔᲑᲡ ᲛᲣᲥᲐᲓᲐᲓ.	6	70

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюля 1879 г. Типографія Меликова. ᲑᲐᲛᲝᲛᲪ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓ. Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.